ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 1
30/01/2019

1-08-4-201901301530

განკარგულება

ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის“ მიერ 2018 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტებისა და 24- ე მუხლის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნა მიღებული ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის“ მიერ 2018 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, აღნიშნულის განხილვის საფუძველზე:

1.1. მერიამ უზრუნველყოს მიმდინარე წელს ა(ა)ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის“ ბალანსზე არსებული სპორტდარბაზის შენობის სრული რეაბილიტაციის პროექტის შედგენა და 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინება.

1.2. მერიამ და ა(ა)ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრმა “ უზრუნველყონ ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სპორტული დარბაზის მიმდინარე რემონტი.

1.3. მიმდინარე წლის ივლისამდე შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ შესწავლილ იქნას ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის” წესდებით გათვალისწინებული საკითხები და საფინანსო საქმიანობა.

1.4. ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის“ ხელმძღვანელობამ წესდებიდან გამომდინარე შექმნას ცხენოსნობის სექცია .

1.5. ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის'' ხელმძღვანელობამ (თ.ძნელაძე) უზრუნველყოს მიმდინარე წლის თებერვლის ბოლომდე 2019 წლის სპორტულ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცება და წარმოდგენა.

1.6. მერიამ და ა(ა)ი.პ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის ხელმძღვანელობამ (თ.ძნელაძე) მიმდინარე წლის მაისამდე უზრუნველყოს სპორტის განვითარების პერსპექტიული გეგმის წარმოდგენა.

2. კონტროლი ,,ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის“ მიერ 2018 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ“ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიას.

3 .განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით გუდავაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მ.შ.
ხელმძღვანელობა